ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს 22.01.09 სხდომის

ოქმი №1

სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 80 წევრთაგან 58.

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოს დაფუძნება
2. საბჭოს სამუშაო რეგლამენტის დადგენა
3. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევა
4. მიმდინარე საკითხები

1. ფაკულტეტის დეკანმა დამსწრეთ გააცნო შეკრების მიზანი, წაიკითხა საბჭოს ფუნქციები და არჩევის წესი უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.

კენჭი ეყარა საკითხს ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

სხდომის წევრებმა ერთხმად ცნეს ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება.

2. ნოდარ ბელქანიამ, სხდომის თავმჯდომარემ და ფაკულტეტის დეკანმა, რომელიც კანონის თანახმად საბჭოს თავმჯდომარედ ითვლება, დასვა საკითხი საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ და მდივნად დაასახელა ასისტენტ პროფესორი ეკატერინე ფირცხალავა, რომელმაც მისცა აცილება. ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი ჟორჟოლიანმა დაასახელა ასისტენტ პროფესორი თამარ დოლბაია, კენჭი ეყარა მის წინადადებას და სხდომის წევრებმა ფაკულტეტის საბჭოს მდივნად ერთხმად აირჩიეს თამარ დოლბაია.

3. საბჭოს სამუშაო რეგლამენტის დადგენასთან დაკავშირებით:

დაისვა საკითხი სხდომის ჩატარების პერიოდულობის შესახებ. შემოთავაზებულ იქნა, რომ შეხვედრები გაიმართოს რეგულარულად, თვეში ერთხელ ყოველი თვის ბოლო პარასკევს 17 საათზე, თსუ VI კორპუსის სააქტო დარბაზში.

წინადადებას კენჭი ეყარა და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა. (მომხრე – 55, წინააღმდეგი – 1, თავი შეიკავა 2).

დაისვა საკითხი რიგგარეშე სხდომის მოწვევის წესის შესახებ.

წამოაყენეს წინადადებები, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნას საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3 ან 1/4 მოთხოვნის შესაბამისად. ასისტენტ პროფესორის ირინე ღვინერიას აზრით, ამ შემთხვევაში ცალკეულ მიმართულებებს არ ექნებათ რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესაძლებლობა საბჭოში წევრების სიმცირის გამო.

პროფესორ გიორგი ჟორჟოლიანის აზრით, კენჭი უნდა ეყაროს მოწვევის სამივე ფორმას:

1)საბჭოს წევრების არანაკლებ 1/4ის მოთხოვნით 2)დეკანატის ანუ ადმინისტრაციის მოთხოვნით ან 3) მიმართულების მოთხოვნით.

კენჭი ეყარა და ერთხმად დამტკიცდა წესი რიგგარეშე სხდომების მოწვევის შესახებ სამივე პირობის მიხედვით.

ასევე შეთანხმდნენ, რომ:

1) სხდომის ჩატარების შესახებ გაფრთხილება მოხდეს არაუგვიანეს 3 დღით ადრე.

2) სხდომის 4 ჯერ გაცდენის შემთხვევაში საბჭომ იმსჯელოს და გადაწყვიტოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის ან მისი სხვა წევრით ჩანაცვლების საკითხი.

3) საბჭოს სხდომის დღის წესრიგში საკითხების შეტანის უფლება აქვს საბჭოს თითოეულ წევრს.

4) საბჭოს წევრებს სხდომების დღის წესრიგი და კრების ოქმი გადაეგზავნოთ ელექტრონული ფოსტით.

5. მიმდინარე საკითხების შესახებ განხილვისას:

პროფესორმა გიორგი ჟორჟოლიანმა გამოთქვა აზრი, რომ თუ ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია გადაწყვეტილებები მიიღოს, მაშინ უნდა შეგვეძლოს დავიცვათ ჩვენი ფალკულტეტის ინტერესები ისე, რომ არ იყოს ეს საკითხები გადასაწყვეტი პრეზიდენტის, პარლამენტის ან სხვა ორგანოების მიერ. დავიცვათ ჩვენი ავტონომია და გავიტანოთ ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

ასისტენტ პროფესორ ირინა ღვინერიას მოსაზრებით, საჭიროა მოვიწვით პროფესიონალი იურისტი და განვსაზღვროთ ჩვენი უფლებამოსილება, რათა სწორად გაიმიჯნოს თითოეულის კომპეტენცია. ამ მოსაზრებას საბჭო არ დაეთანხმა ჩათვალა რა, რომ კანონსა და წესდებაში ყოველივე მკაფიოდაა გაწერილი.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი ნ. ბელქანია

მდივანი: ასისტენტ პროფესორი ე. ფირცხალავა